



**თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო  
უნივერსიტეტი**

**საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი**

**2015-2016 სასწავლო წელი**

## სარჩევი

მისია.....	3
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.....	6
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა .....	16
სამართლის საბაკალავრო პროგრამა .....	24
სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა .....	34
ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა .....	41
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა .....	49
სამართლის სამაგისტრო პროგრამა .....	59

## მისია

თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მისიას წარმოადგენს მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბება, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე, პროფესიულად ღრმად განსწავლული, მაღალზნეობრივი სპეციალისტები, ვინც სრულად აცნობიერებს და აღიარებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ ღირებულებებს, წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვან და სრულუფლებიან წევრს, მზად არის აკადემიური და პროფესიული რეალიზებისათვის თანამედროვე საზოგადოებაში.

მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების მიზნით, აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესაბამისად, თდასუ ავითარებს ხარისხიან და ხელმისაწვდომ განათლებას, ბიზნესისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებების მიმართულებით, რაც განაპირობებს მათ ჩამოყალიბებას მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად

### უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

- თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული განათლების ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა;
- უწყვეტი განათლების (“სწავლა ცხოვრების მანძილზე”) პრინციპების დანერგვა;
- სასწავლო პროცესის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა;
- სტრატეგიულ პარტნიორებთან, საქართველოს და უცხოეთის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, პროფესიულ და სამეცნიერო ასოციაციებთან (გაერთიანებებთან) გრძელვადიანი თანამშრომლობა;
- აკადემიური, სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;
- ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების

დანერგვა;

- აკადემიური პერსონალის მართვის, შეფასების და შერჩევის საიმედოობა და ობიექტურობა;
- უნივერსიტეტის განვითარების მისიით გაცხადებულ ღირებულებათა შესაბამისად.

მისამართი : რუსთავის გზატკეცილი №18-22, თბილისი, საბურთალოს  
ქუჩა 38ა (სულხან ცინცაძის 24). (+995 32) 237 88 66, (+995 32) 298 78 78

## საბაკალავრო პროგრამები

## ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - ინგლისური ფილოლოგია  
(English Philology)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი (*Bachelor of English Philology*)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 ECTS კრედიტი.

საბაკალავრო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები- 35 ECTS კრედიტი
- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 10 ECTS კრედიტი
- ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის (საბაკალავრო პროგრამის) განკუთვნილი სასწავლო კურსები - 142 ECTS კრედიტი, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: 20 ECTS კრედიტი განკუთვნილია ე.წ. ფილოლოგიური კომპეტენციისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, 122 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს;
- 20 ECTS კრედიტი - სპეციალობის არჩევითი კურსები(40 კრედიტიდან)
- 10 ECTS კრედიტი - პროფესიული პრაქტიკა
- თავისუფალი სასწავლო კურსები - 23 ECTS კრედიტი.

პროგრამის ხანგრძლივობა-4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი

სწავლების ენა-ქართული, სპეციალობის მაპროფილებელი საგნების უმეტესობა შეთავაზებულია ინგლისურ ენაზე.

### პროგრამის მიზნები

*პროგრამის მიზანია* მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება როგორც ფართო ფილოლოგიური, ასევე სპეციფიკური ცოდნა ინგლისური ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ, ენობრივი სისტემისა (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული ასპექტები) და ინგლისური ენის ისტორიის შესწავლის საფუძველზე.

მეორე მთავარი მიზანია, კურსდამთავრებულს შეეძლოს მაღალ პროფესიულ დონეზე ზეპირი და წერითი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე და საშუალო დონეზე ენობრივი კომპეტენციების დადასტურება გერმანულ ენაზე.

პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე შექმნილი ბრიტანული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციებისა და ნაწარმოებების შესახებ.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ა) ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვეს აღნიშნულ პროგრამაზე. ეროვნული გამოცდების საფუძველზე ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შესწავლის მსურველებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა (ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში – შეფასება მინიმუმ 51 ქულა).

- საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების შესაბამისად, დადგენილი პროცედურებისა და დაწესებულებაში არსებული წესის დაცვით.

- საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

ბ) ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

- საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- პირებისათვის (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ სასწავლო კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში, ჩააბარებენ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას ინგლისურ ენაში. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის გამოსაცდელმა უნდა დააკმაყოფილოს A2 დონე (გამსვლელი ქულაა მინიმუმ 51) ან წარმოადგინოს ენის ცოდნის დამასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი.

## **პროგრამის სწავლის შედეგები**

### **ცოდნა და გაცნობიერება**

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს გააჩნია ჰუმანიტარული მეცნიერებების/ფილოლოგიის დარგის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას. კერძოდ, ინგლისურ ენასთან დაკავშირებული თეორიული კურსების შესწავლის საფუძველზე: კურსდამთავრებული იცნობს ინგლისური ენათმეცნიერების მთავარ კონცეფციებსა და მიმართულებებს; ერკვევა სპეციალობის მნიშვნელოვან ტერმინებსა და დარგობრივ სფეროში მიმდინარე პროცესებში; აცნობიერებს ენის ისტორიული ცვლილებების, ფონეტიკური, ლექსიკური და სემანტიკური მოვლენების როლს ენის განვითარებასა და ფუნქციონირებაში; გააჩნია საბაზისო ცოდნა ინგლისური ენის ისტორიული განვითარების შესახებ; აცნობიერებს ენობრივი ცვლილებების კანონზომიერებას და ხედავს ინგლისურ ენას ისტორიულ ჭრილში; თანამედროვე ენაში მიმდინარე მოვლენებს განსაზღვრავს ისტორიული ცვლილებების თვალსაზრისით და ენობრივ ცვალებადობას უკავშირებს სოციო-კულტურული კონტექსტის მოდიფიკაციებს; სტუდენტი იცნობს ინგლისური ენის, როგორც სისტემის, გრამატიკულ წყობას;



ის ერკვევა ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების პრობლემებში; იცის მეტყველების ნაწილები, დროები, წინადადებების დაყოფის პრინციპები და სახეობები, არსებითი სახელის, ზედსართავის და ზმნის გრამატიკული კატეგორიები; ის ფლობს ინგლისური ენის გრამატიკის თეორიას. აქვს ფართო ცოდნა თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის თავისებურებებზე, სიტყვათწარმოების პროდუქტიულ ტიპებზე, ინგლისური ენის ლექსიკის გამდიდრების არსებულ გზებზე და საშუალებებზე და სხვ. აქვს ინგლისური ენის მდიდარი ლექსიკური მარაგი; გააჩნია ტექსტის ლინგვისტური ანალიზისა და ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის ტექნიკა; იცნობს დარგობრივ ტერმინოლოგიას და ცნებებს; იცის თარგმანის ტექნიკის თეორიული საფუძვლები.

ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის შესწავლის საფუძველზე:

კურსდამთავრებულს აქვს ევროსაბჭოს მიერ დამტკიცებული ენობრივი სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი ინგლისური ენის სულ მცირე B2 დონე და აკმაყოფილებს ამ დონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ოთხივე ენობრივი კომპეტენციის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) კუთხით. კერძოდ, აქვს

დაგროვილი ლექსიკა ზოგადი და დარგობრივი თემატიკის ირგვლივ; ჩამოყალიბებული აქვს ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად გამართული წერის უნარ-ჩვევები; იცის მოსმენის ტექნიკა და მეთოდები; არჩევს ინტონაციასა და რიტმს; იცნობს წერის ფორმებს (საქმიანი და არაოფიციალური წერილები, მოხსენებები, ესეი, რეზიუმე), მათ სტრუქტურასა და წესებს; ათვისებული აქვს მაღალი დონის გრამატიკული სტრუქტურები და იცის მათი გამოყენების წესი და კონტექსტი; ეფექტურად და მოქნილად იყენებს ენობრივ უნარ-ჩვევებს სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებისთვის.

გერმანულის ენის პრაქტიკული კურსის შესწავლის საფუძველზე: კურსდამთავრებულს აქვს ევროსაბჭოს მიერ დამტკიცებული ენობრივი სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი გერმანული ენის სულ მცირე B1 დონე დონე და აკმაყოფილებს ამ დონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ოთხივე ენობრივი კომპეტენციის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) განვითარების კუთხით, კერძოდ, აქვს შესაბამისი ზოგადი ლექსიკა; შეუძლია ორთოგრაფიულად,

გრამატიკულად და აზრობრივად გამართული წერა; იცის მოსმენის ტექნიკა და მეთოდები; არჩევს ინტონაციასა და რიტმს; იცნობს წერის ფორმებს (საქმიანი და არაოფიციალური წერილები, ესეი), მათ სტრუქტურასა და წესებს; ათვისებული აქვს შესაბამისი გრამატიკული სტრუქტურები და იცის მათი გამოყენების წესი და კონტექსტი; ეფექტურად იყენებს შეძენილ ენობრივ უნარ-ჩვევებს სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებისთვის.

კურსდამთავრებულმა იცის ბრიტანული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები, შესაბამისი ლიტერატურული ტენდენციები და მათთან დაკავშირებული სოციალურ-კულტურული კონტექსტები; იცნობს ძირითად ბრიტანელ მწერალთა მთავარ ნაწარმოებებს შუა საუკუნეებიდან მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ასევე სტუდენტი დაუფლებულია ფილოლოგიის სავალდებულო ზოგად კომპეტენციებს: ცნობს ენაში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს, მის ფონოლოგიურ სტრუქტურასა და ლექსიკურ შედგენილობას; იცის მხატვრული ტექსტის ძირითადი ელემენტები, თხრობის ხერხების თავისებურებები, სხვადასხვა ჟანრის თავისებურებანი; იცნობს ლიტერატურის თეორიის ძირითად მოძღვრებებს; იცის ევროპული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები და ტექსტები.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კონკრეტულად, ფილოლოგიისთვის ნიშნული ძირითადი მეთოდების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კერძოდ, ის აქტიურად შეძლებს დისკურსში გამოიყენოს ძირითადი ენობრივი ერთეულები; შეძლებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ჟურნალ-გაზეთების და მასმედიის ყველა საინფორმაციო საშუალების მეშვეობით უახლესი ინფორმაციის მოპოვებას; შეძლებს გაანალიზოს და დააღაგოს მონაცემები ლექსიკურ-სტილისტურად.

კურსდამთავრებულს შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობისა და

ლიტერატურის თეორიის ცოდნის საფუძველზე კრიტიკულად შეაფასოს ლიტერატურული ნაწარმოებები, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი დასაბუთებული, აკადემიური ფორმით, როგორც ზეპირი (პრეზენტაცია, დისკუსია), ასევე წერიტი ფორმით (ესეი, მცირენაშრომი).

კურსდამთავრებულს აქვს სულ მცირე B2 დონის ოთხივე სამეტყველო კომპეტენცია ინგლისურ ენაში:

**კითხვა:** შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ვრცელი და რთული სხვადასხვა ჟანრის ტექსტი (მხატვრული, ინფორმაციული, პუბლიცისტური და სხვა ხასიათის), როგორც კონკრეტულ, ასევე, აბსტრაქტულ საკითხებზე, მათ შორის დარგობრივი ტექსტები. ამოიცნოს ქვეტექსტები და ავტორის ჩანაფიქრი, დეტალები და განწყობა.

**მოსმენა:** შეუძლია მოუსმინოს ავთენტურ აუდიო მასალასა და ენის მატარებლის საუბარს და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება, მიუხედავად სხვადასხვა საუბრის ტემპის, ინტონაციისა თუ თემატიკისა; არჩევს მეტყველების კონტექსტს, სტილსა და ჟანრს; სწორად რეაგირებს გაგონილ იმპულსებზე და ასრულებს რთულ დავალებებს. ესმის და რეაგირებს აუდიო მასალაზე, როგორც ყოფით, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და განათლების თემებზე; შეუძლია უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის ყოფით და დარგობრივ თემებზე მიმდინარე ინტერაქციის გაგება;

**წერა:** შეუძლია ორთოგრაფიულად, გრამატიკულად და აზრობრივად სწორად ჩამოაყალიბოს წერილობითი ტექსტი (დაწეროს ოფიციალური წერილი, ესეი); შეუძლია საკუთარი აზრის წერილობით მკაფიოდ და ორგანიზებულად გამოხატვა, დარგობრივი და ლიტერატურული სტილის ლექსიკით (სინონიმები, ანტონიმები, იდიომები, ანდაზები, ფრაზეოლოგიური ერთეულები და სალაპარაკო კლიშეები) აღჭურვილი ესეის შედგენა; სხვადასხვა ტიპის ოფიციალური წერილის შედგენა (ინფორმაციული, სამადლობელო, მოსაბოდიშებელი, მოსაწვევი, დამაზუსტებელი, განმარტებითი, აღწერითი, ახსნა–განმარტებითი ხასიათის), რომელიც გამყარებულია კონკრეტული მოსაზრების მხარდაჭერით/კრიტიკით და გააჩნია არგუმენტირებული დასკვნები და სტრუქტურულად და სტილისტურად შეესაბამება სტანდარტებს;

**საუბარი:** შეუძლია ენის მატარებელთან სპონტანური დაუგეგმავი ინტერაქცია ენის შეუფერხებელი ფლობის გარკვეული ხარისხით. შეუძლია გაბმულად აღწეროს საკუთარი გამოცდილება და მოვლენები, საკუთარი ოცნებები, იმედები, ამბიციები, მოიყვანოს მაგალითები და ახსნას მიზეზები საკუთარი გეგმებისა და შეხედულებების გასამყარებლად. შეუძლია მოყვეს ამბავი, მოთხრობა ან წიგნისა თუ ფილმის სიუჟეტი და გადმოსცეს საკუთარი რეაქციები, დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით; შეუძლია მოვლენების ადეკვატური შეფასება, შედარება, კრიტიკა და ანალიზი ლექსიკური და გრამატიკული ნორმატივების დაცვით; დიალოგის გამართვა, როლური გათამაშება, პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა - კამათი(მონოლოგური/ დიალოგური, მოცემულ სიტუაციაზე მოთხრობის აგება, სურათის აღწერა და აქტუალურ თემებზე პრეზენტაციის გაკეთება. შეუძლია დამოკიდებულების და ემოციური განწყობის გამოხატვა (მოწონება, უკმაყოფილება, დაზუსტება, დადასტურება, მადლობა, ბოდიში, გაკვირვება, სიხარული) და სიტუაციის დახასიათება; წაკითხული და გაგონილი ინფორმაციის შეჯამება და ძირითადი საკითხების გამოყოფა; პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა და მხარდაჭერა/ოპონირება.

ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამდამთავრებულს ასევე შეუძლია გერმანულ ენაში კომუნიკაციისას სულ მცირე B1 დონეზე საკუთარი ენობრივი კომპეტენციების გამოყენება.

### **დასკვნის უნარი**

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება. ასევე, განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, შესაბამისად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. ახალი ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და მონაცემების ინტერპრეტაცია, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება, საკუთარი გადაწყვეტილების მიღების პრინციპების დასაბუთება და დაცვა.

### **კომუნიკაციის უნარი**

პროგრამა კურსდამთავრებულებს სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით გამოუმუშავებს სოციალური კომუნიკაციის უნარ-

ჩვევებს; შესაბამისი წყაროების მოძიების უნარს თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების დახმარებით; კურსდამთავრებულს შესწევს უნარი მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ინგლისურ ენაში მაღალ პროფესიულ დონეზე, გერმანულში საშუალო დონეზე) აწარმოოს კომუნიკაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით, მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ კამათში, არგუმენტირებულად დაიცვას საკუთარი პოზიცია როგორც სპეციალისტებთან პროფესიული დებატების დროს, ასევე, არასპეციალისტებთან. პრეზენტაციის მეშვეობით ის შეძლებს შეჯერებული ინფორმაციის დემონსტრირებას. შეუძლია სპონტანურად და თავისუფლად საუბარი ინგლისურენოვან მოსაუბრესთან, თემების ფართო სპექტრის შესახებ გასაგებად სტუდენტი შეძლებს ინგლისურ ენაზე ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას, დისკუსიაში ჩართვასა და დისკუსიის მოდერაციას.

გარდა ამისა, სტუდენტს სრულფასოვნად შეუძლია აწარმოოს როგორც წერითი, ასევე ვერბალური კომუნიკაცია სხვა ფორმატში და სხვადასხვა თემატიკის ირგვლივ.

## **სწავლის უნარი**

პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს, საკუთარი აკადემიური აქტივობის პერიოდული შემოწმების შედეგად, მოახდინოს მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარების კრიტიკული თვითშეფასება პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. კურსდამთავრებულს შეუძლია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება ბეჭდური ბიბლიოთეკიდან, სხვა ბეჭდური და ელექტრონული წყაროებიდან და მათი სინთეზი. აგრეთვე მას აქვს ენის ისტორიული ცვლილებებისა და ლიტერატურული სიახლეების, მიდევნებისა და ფილოლოგიური ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია საკუთარი ცოდნისა და უნარებისთან მიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

## ღირებულებები

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს და შეუძლია გაანალიზოს და შეაფასოს ზნეობრივი ფასეულობების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენები (ჰუმანისტური და ესთეტიკური იდეალები და ტოლერანტობა). სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით ის პატივისცემით მოეპყრობა განსხვავებულ აზრს და შეძლებს საკუთარი აზრის კორექტულად, აკადემიური ფორმით დაცვას და დისკუსიას ეთიკის ნორმების შესაბამისად წარმართავს. გარდა ამისა, კურსდამთავრებულს შეუძლია პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ნაშრომზე, დაიცვას სხვათა საავტორო უფლებები, შეუძლია პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან დაკავშირებით საკუთარი და სხვისი დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება; ის მოწოდებულია, მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების ფორმირებისა და მათი დამკვიდრების პროცესში.

ენობრივ და ზოგადფილოლოგიურ კომპეტენციებთან ერთად სტუდენტს აქვს ცოდნა ბრიტანული სოციალურ-კულტურული ღირებულებების შესახებ, მას გამოუმუშავდა პატივისცემის გრძნობა დიდი ბრიტანეთის ისტორიის, ტრადიციებისა და ფასეულობებისადმი. ის აცნობიერებს უცხოური ღირებულებების ცოდნის და დაფასების აუცილებლობას კულტურათაშორისი კომუნიკაციის საწარმოებლად.

## სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

*სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება უმაღლეს განათლებაში მიღებული ტრადიციული და აპრობირებული სწავლის ფორმები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, ანალიტიკური ესეის დაწერა, ქვიზი, პრეზენტაცია, თარგმანი, პროფესიული პრაქტიკა და სხვ. სწავლის მეთოდებიდან აღსანიშნავია წერითი მუშაობის, ვერბალური, კომუნიკაციური სწავლების, საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდები და სხვ. ლექტორი ინდივიდუალურად ირჩევს სწავლებისა ფორმებსა და მეთოდებს, რაც ასახულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში.*

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსების სწავლებისას სტუდენტების თითოეულ სასწავლო კურსში მოსწრება ფასდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტური შეფასების სისტემით:

არსებობს დადებითი შეფასება:

(A)ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B)ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C)კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D)დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E)საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

საკონტაქტო პირი:

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლაშა ჩახვაძე

ელ.ფოსტა: [chakhvadelasha@yahoo.com](mailto:chakhvadelasha@yahoo.com)

## **ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - ბიზნესის ადმინისტრირება  
(Business Administration)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი  
(Bachelor of Business Administration (BBA))

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 ECTS კრედიტი.

საბაკალავრო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი ( 30 კრედიტიდან)
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 115 კრედიტი
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 50 კრედიტი ( 95 კრედიტიდან)
- პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი
- თავისუფალი სასწავლო კურსი/კურსები - 20 კრედიტი

სწავლების ენა - ქართული

### **პროგრამის მიზანი**

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სასწავლო უნივერსიტეტის მისიის - უმაღლესი განათლება მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებისთვის. პროგრამის მთავარი მიზანია, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების მართვას, რაშიც მას დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალობა განპირობებულია საქართველოს ინტეგრაციის აუცილებლობით მსოფლიო ეკონომიკაში, საბაზრო



ეკონომიკის ადეკვატური ინსტიტუტების და ურთიერთობების ჩამოყალიბების შეუქცევადი ხასიათით ჩვენს ქვეყანაში, რამაც მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროებში ათასობით ადამიანის დასაქმება გამოიწვია. შესაბამისად, გაჩნდა და ყოველდღიურად იზრდება ბიზნესის სფეროსათვის კვალიფიციური მენეჯერების მომზადების მოთხოვნა. ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, კორპორაციებსა და კონსალტინგურ ცენტრებში.

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

## **პროგრამის სწავლის შედეგები:**

### **ცოდნა და გაცნობიერება**

- მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის თეორიებისა და პრინციპების ცოდნა და გააზრება ეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით. ქვეყნის ეკონომიკის აქტუალური საკითხების ფართო ცოდნა.
- მენეჯმენტის, მათ შორის საერთაშორისო, ოპერაციული, ფინანსური მენეჯმენტის, მარკეტინგის, სადაზღვევო საქმის საფუძვლების, ძირითადი თეორიების, კონცეფციებისა და პრინციპების, მართვის მეთოდებისა და სტრატეგიების ცოდნა და კრიტიკული გააზრება, სტრუქტურული ერთეულების, სფეროს მოწინავე ტექნოლოგიების, მართვის მეთოდებისა და მოდელების ცოდნა.
- ბიზნესის საფუძვლების ცოდნა, თეორიების, პრინციპების, ფუნქციების, მეთოდებისა და სტრატეგიების გააზრება, კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.
- ბუღალტერიის საფუძვლების, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის აგების პრინციპების, აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორული საქმიანობის სტრუქტურისა და ორგანიზაციის ცოდნა და გააზრება, კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- საფინანსო კონცეფციებისა და ფინანსების ორგანიზაციის, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების, ინვესტიციების პრინციპებისა და მექანიზმების ცოდნა და გააზრება. საბანკო საქმის - სისტემის, მეთოდების, პრინციპების, ფუნქციური მექანიზმების, საჯარო ფინანსების, საგადასახადო საქმის რეგულირების საფუძვლების, ფინანსური ანგარიშგების წარმოების, აქტუალური და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

## *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი*

- მაკრო- და მიკროეკონომიკური პრობლემების ანალიზი და კრიტიკული შეფასება ეკონომიკური ანალიზის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით, რომელიც საშუალებას მისცემს განიხილოს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მოდელი; მენეჯმენტის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენება ორგანიზაციის მმართველობით საქმიანობის ყველა სტრუქტურულ რგოლში და ასპექტში; ოპერაციული, პერსონალის მენეჯმენტის მეთოდების გამოყენება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; პროექტის შერჩევა და შემუშავება;
- ბიზნესის სფეროს სტანდარტული მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება ბიზნესში პრობლემების გადასაჭრელად; ბუღალტრული ანგარიშგების დოკუმენტების შედგენა, ფინანსური ანგარიშგების
- დოკუმენტების ინტერპრეტაცია; აუდიტორული მეთოდების გამოყენება ორგანიზაციის საქმიანობის შეფასებისას; ფინანსების სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა ფინანსური მეთოდების გამოყენებით; ფინანსური მეთოდების გამოყენებით საფინანსო პოლიტიკის განხორციელებისათვის გზების დასახვა; საბანკო საქმის- სისტემის, მეთოდების, პრინციპების, ფუნქციური მექანიზმების გამოყენება საბანკო ოპერაციების წარმოებისას; საქართველოს საგადასახადო კოდექსის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და საგადასახადო სისტემის სხვა მარეგულირებელი ნორმების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად;
- ფინანსური მეთოდების გამოყენებით ფინანსური კაპიტალის მართვა; ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო ფინანსების სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციფიური ფინანსური მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად; მარკეტინგული პრობლემების გადაჭრის მიზნით, მარკეტინგის თეორიული კონცეფციების, მეთოდების/სტრატეგიებისა და მარკეტინგული კვლევების მონაცემების გამოყენება; მომხმარებელთა ქცევის განმსაზღვრელი ძირითადი კულტურული ფაქტორების გამოყენება, სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების, ბიზნესქცევისა და საქმიანი ურთიერთობის წესების გათვალისწინება ბიზნეს საქმიანობის დროს.

## **დასკვნის უნარი**

ბიზნეს ერთეულის, ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნების გაკეთება; პროექტების შემუშავების, კონტროლისა და მართვის ეფექტური მოდელებისა და მექანიზმების ანალიზი;

ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტების წაკითხვა და ანალიზის გაკეთება; ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი, აუდიტორულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენა და დასკვნების გაკეთება;

ფინანსური მეთოდების გამოყენებით სიტუაციის ანალიზი; გამორჩეული ფინანსური მეთოდების, ორგანიზაციების მარკეტინგული სტრატეგიებისა თანამედროვე მექანიზმების საფუძველზე სიტუაციის ანალიზის გაკეთება; კერძო და საჯარო სფეროში განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი ფინანსური აღრიცხვის მეთოდების გამოყენებით; ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და დასკვნების გაკეთება.

## **კომუნიკაციის უნარი**

- მენეჯმენტის, ორგანიზაციის, ბიზნეს ერთეულის შიგნით და გარეთ ეფექტური კომუნიკაციების დამყარება; ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების ფორმირებაში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; საერთაშორისო ელექტრონულ ბიზნესთან დაკავშირებული ელექტრონული სისტემების ინფორმაციის გამოყენება და მართვა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის მოძიება მართვის ეფექტური მეთოდის შესარჩევად; დარგობრივი ლიტერატურის მოძიებისათვის;
- დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა დაინტერესებულ პირთათვის ქართულ და უცხოურ ენაზე ( ინგლისურ ან გერმანულ) პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;

- აღნიშნულ თემატიკაზე დისკუსიაში მონაწილეობა და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება რეფერატის, პროექტის წარმოდგენის დროს .

### **სწავლის უნარი**

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და დაგეგმვა;

საკუთარი ცოდნის ფარგლების განსაზღვრა, კონკრეტული მიმართულებით ცოდნის გაფართოების საჭიროების შეფასება;

საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;

### **ღირებულებები**

ბიზნესისას და მენეჯმენტის მიმართულებით ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

აცნობიერებს ბიზნეს კულტურის ეთიკური ნორმებს და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად;

გათავისებული აქვს პროექტების მართვაში ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობა და ისწრაფვის მის დასამკვიდრებლად;

შეუძლია საერთაშორისო მართვის პროცესში სუბკულტურების გათვალისწინება და ეთიკური ნორმებით ხელმძღვანელობა.

შეუძლია მმართველობით საქმიანობაში ღირებულებების შეფასება და მისი გათვალისწინებით მოქმედება;

შეუძლია აუდიტის პროფესიული კოდექსის ნორმების დაცვა, ასევე, მარკეტინგში ეთიკური ღირებულებებით მოქმედება;

შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში იხელმძღვანელოს პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვით; მონაწილეობა მიიღოს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში.

### **სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები**

*სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება უმაღლეს განათლებაში მიღებული ტრადიციული და აპრობირებული სწავლის ფორმები და მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, წერიტი მუშაობა პრეზენტაცია, ქვიზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, შემთხვევის ანალიზი (Case study) ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. დემონსტრირების მეთოდი და სხვ. ლექტორი ინდივიდუალურად ირჩევს სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, რაც ასახულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში.*

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა,

#### **შეფასების სისტემა უშვებს:**

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსების სწავლებისას სტუდენტების თითოეულ სასწავლო კურსში მოსწრება ფასდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტური შეფასების სისტემით:

#### **შეფასების სისტემა უშვებს:**

##### **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი ნიშნავს - A“ფრიადი;”
- მაქსიმალური შეფასების 81-90 % ნიშნავს - B“მალიან კარგი;”
- მაქსიმალური შეფასების 71-80 % ნიშნავს - C“კარგი;”
- მაქსიმალური შეფასების 61-70 % ნიშნავს - D“დამაკმაყოფილებელი;”
- მაქსიმალური შეფასების 51-60 % ნიშნავს - E“საკმარისი;”

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- მაქსიმალური შეფასების 41-50% ნიშნავს -  $Fx$  “ვერ ჩააბარა,” სტუდენტს ჩასაბარებად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- მაქსიმალური შეფასების 0-40 % ნიშნავს  $F$  “ჩაიჭრა”, სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**საკონტაქტო პირი:**

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
ციალა ლომაია  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი  
მაია ბენია

**ელ.ფოსტა:** [Lomaia55@mail.ru](mailto:Lomaia55@mail.ru)  
[maia.benia9@gmail.com](mailto:maia.benia9@gmail.com)

## სამართლის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

**კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი;

**სწავლის ხანგრძლივობა:** 8 სემესტრი; 4 აკადემიური წელი;

**სწავლების ენა:** ქართული - უცხო ენაზე სწავლების კომპონენტით

**პროგრამის ხელმძღვანელი:** სამართლის დოქტორი, პროფესორი, დოდო ჯულუხაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზაურ ჯინჯოლავა

### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სამართლის პროგრამა არის იურისტის პროფესიის დაუფლების საშუალება და ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე, რომელიც აღჭურვილი იქნება ბაკალავრის საქმიანობისათვის საჭირო ცოდნითა და უნარებით და შეძლებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში საქმიანობას.

### სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

ხელი შეუწყოს ქვეყანაში თანამედროვე სამართლებრივ ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას;

იზრუნოს სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე;

აღზარდოს განათლებული, ჰუმანური, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მაღალპროფესიონალი და კონკურენტუნარიანი იურისტთა თაობა, რომლებსაც ექნებათ, თანამედროვე განათლების სისტემის მოთხოვნათა შესაბამისი ეროვნული და ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ინსტიტუტების, კონცეფციების, მეთოდების ცოდნა და მზაობა სახელისუფლებო, თვითმმართველობისა და კერძო სტრუქტურებში სამუშაოდ; კერძოდ, მისცეს სტუდენტს:

სპეციალური ცოდნა იურისპრუდენციაში, შეასწავლოს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართალი;

შესაძლებლობა განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის პროგრამის ფორმირება არჩევითი საგნების კონცენტრაციის საფუძველზე ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით: საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი, კერძო სამართალი, საერთაშორისო სამართალი – მაგალითად, სისხლის სამართალში საჯარო სამართლის ელემენტებით ან კერძო სამართალში საერთაშორისო სამართლის ელემენტებით.

შესაძლებლობა პროგრამის ფარგლებში დაეუფლოს სამართლის ისტორიულ ასპექტებს.

აათვისებინოს იურისტის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მეთოდები;

შესაძლებლობა საკუთარი სურვილისამებრ, მისი ინტერესებიდან გამომდინარე (სამართლის საბაკალავრო პროგრამით დაშვებული 10 კრედიტის ფარგლებში)



ისწავლოს შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი პროგრამიდან უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანი წინაპირობების გათვალისწინებით.

### **სამართლის საბაკალავრო პროგრამა ასევე მიზნად ისახავს გამოუმუშაოს სტუდენტს:**

სამართლებრივი საკითხების ცოდნა-გაცნობიერებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები;

სამართლებრივი პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი;

კომუნიკაციისა და სწავლის უნარი;

პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

საბაკალავრო დონეზე კვლევითი მუშაობის უნარები;

სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას კანონის უზენაესობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი;

პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დამკვიდრებისაკენ სწრაფვის უნარი;

მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის თავისი პროფესიული ინტერესებისა და საუკეთესო მიზნების გათვალისწინებით გამოყენების უნარი.

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი (ატესტატი) და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვეს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლებას. ამასთან, თუ მას ჩაბარებული აქვს ინგლისური ან გერმანული ენა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დასაშვებია:

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც

სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

## **პროგრამის სწავლების შედეგები:**

### **ცოდნა და გაცნობიერება**

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის და აცნობიერებს: ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების, სპეციალიზაციის სფეროს (საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის) ცოდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

კურსდამთავრებულმა იცის: სამართლის ცნება და ფუნქციები, ძირითადი პრინციპები, სამართლის თეორიები, სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის ენა და სამართლის სისტემები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები.

სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები; კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი; სანივთო (ქონებრივი) სამართალი; ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი დებულებანი, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები); საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; შრომისა და დასაქმების სამართალი ; სამეწარმეო სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები, ადმინისტრაციული ურთიერთობის სუბიექტები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და მათი განხორციელების წესები; სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები, ცალკეული დანაშაულები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების პრინციპები, საქმისწარმოების თავისებურებანი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, პროფესიული ეთიკა.

## **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

შესწევს უნარი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.

აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.

შეუძლია დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და სამართლებრივი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთება-დაცვა.

აქვს ფაქტებისა და გარემოებების სამართლებრივი შეფასების უნარი;

შეუძლია სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაცია და შეფარდება;

სამართლებრივი დოკუმენტების დამაჯერებლად, ნათლად და არგუმენტირებულად (საჩივრის, სარჩელის, დაა.შ.) შედგენა.

## **დასკვნის უნარი**

შეუძლია სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთება.

აქვს სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შეგროვების, განმარტების, ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

## **კომუნიკაციის უნარი**

შეუძლია მშობლიურ და უცხო ენაზე ინფორმაციის მოძიება და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის გადაცემა. ასევე შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

## **სწავლის უნარი**

შეუძლია საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერული სიახლეების გაანალიზება. აქვს ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), მოძიებისა და დამატებითი ინფორმაციის მოპოვების უნარი. შესწევს ცოდნის დამოუკიდებლად და მუდმივი განახლების უნარი.

## **ღირებულებები**

შეუძლია: დარგობრივი ღირებულებების - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზენაეს ადამიანურ ღირებულებად აღქმა; კანონიერების, სამართლიანობის, თანასწორუფლებიანობის, თავისუფლების და სხვ. ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; შეუძლია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

### **დასაქმების სფერო:**

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია იმუშაოს ნებისმიერ იმთანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის სავალდებულო სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

კურსდამთავრებული პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- კორპორაციულ სტრუქტურებში;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში.

### **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე -მაგისტრატურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **პროგრამის მოცულობა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) და პროგრამის სტრუქტურა**

საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება საშუალო სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 4 სასწავლო წელს, 8 სემესტრს. საქართველოს კანონიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ გამომდინარე, პროგრამის შესასრულებლად სტუდენტს ესაჭიროება 240 ECTS კრედიტი. 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო (საკონტაქტო), ასევე დამოუკიდებელ მუშაობას. ECTS კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს საშუალო იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა საშუალო სტუდენტის მიერ, პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის დასახული შედეგების მისაღწევად. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებზე დასწრებას, ჯგუფში მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების შესრულებას. ყველა სასწავლო კურსი

ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს, შუალედურ გამოცდებს, ყოველი სასწავლო კურსის სრულდება დასკვნითი შეფასებით/გამოცდით.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა, სასურველია დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი. თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75კრედიტისა. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, დაწესებულებაში სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 38 სასწავლო კვირა ანუ სემესტრში 19 სასწავლო კვირას (21 კვირა დამატებითი გამოცდის შემთხვევაში), მათ შორის 15 კვირა\* ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და ასე შემდეგ, მე-6, მე-12 კვირას შუალედური გამოცდები, მე-18 და მე-19 კვირას დასკვნითი გამოცდები, (20-21 კვირა-დამატებითი გამოცდები საჭიროების შემთხვევაში). სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

\*შენიშვნა: სახელმწიფოს მიერ დადგენილ სადღესასწაულო დღეებში, ან ლექტორის მიერ ნებისმიერი მიზეზით გაცდენილი საათები ექვემდებარება აღდგენას.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებითა“ და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს ოთხი აკადემიური წლის ანუ 8 სემესტრის განმავლობაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას მიეცემა შესაძლებლობა დამატებითი სემესტრის განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

სამართლის საბაკალავრო პროგრამისადმი, როგორც რეგულირებადი პროფესიისადმი წაყენებული სავალდებულო მოთხოვნიდან გამომდინარე, 240 კრედიტიდან, 185 კრედიტი (75%-ე მეტი), მიმართულია იურიდიული დისციპლინების შესწავლაზე; სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს სხვადასხვა ატივობებში კრედიტის დაგროვების ალტერნატიულ საშუალებებს. კერძოდ:

**I.საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს 15 კრედიტის ოდენობით;**

**II.საუნივერსიტეტო არჩევით სასწავლო კურსებს 10 კრედიტის ოდენობით, რომელიც სტუდენტმა**

**უნდა აირჩიოს შეთავაზებული 30 კრედიტიდან;**

**III.უცხო ენის კომპონენტი 20 კრედიტი;**

**IV.სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს მოდულების მიხედვით 126 კრედიტის**

**ოდენობით,რომელიც მოიცავს:**

- 4.1.საჯარო სამართლის მოდულს 27 კრედიტის ოდენობით;
- 4.2.სამართლის საფუძვლების, მეთოდებისა და ისტორიის მოდულს 27კრედიტი;
- 4.3. კერძო სამართლის მოდულს 48 კრედიტი;
- 4.4.სისხლის სამართლის მოდულს 24 კრედიტი;

**V. არჩევით სასწავლო კურსებს 44 კრედიტის ოდენობით, რომელიც სტუდენტმა უნდა აითვისოს შეთავაზებული 96 კრედიტიდან. იგი მოიცავს:**

- 5.1. საჯარო სამართლის მოდული 26 კრედიტი;
- 5.2. სამართლის მეთოდების, საფუძვლებისა და ისტორიის მოდული 11 კრედიტი;
- 5.3. კერძო სამართლის მოდული 18 კრედიტი;
- 5.4. სისხლის სამართლის მოდული 19 კრედიტი;
- 5.5.საერთაშორისო სამართლის მოდული 22 კრედიტი;

**VI. დარგობრივი უცხო ენა 5 კრედიტი;**

**VII. პრაქტიკულ კომპონენტს 5 კრედიტის ოდენობით;**

იმიტირებული სასამართლო პროცესი 5 კრედიტი.

**VIII. კვლევით კომპონენტს- საბაკალავრო ნაშრომი 5 კრედიტის ოდენობით;**

**IX.თავისუფალ სასწავლო კურსს 10 კრედიტის ოდენობით;**

სტუდენტი ვალდებულია, მოიპოვოს საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებში 25კრედიტი, აქედან საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები-15კრედიტი; საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი შეთავაზებული 30 კრედიტიდან.

სტუდენტი ვალდებულია მოიპოვოს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტის შემადგენლობაში შესულ ყველა სასწავლო დისციპლინაში შესაბამისი კრედიტი. რაც შეეხება სპეციალობის არჩევითი სასწავლო მოდულით

გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებს, სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო დისციპლინები და მოიპოვოს შესაბამისი კრედიტები ისე, რომ სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე შეასრულოს 240 კრედიტი(სავალდებულო კომპონენტების ჩათვლით);

სტუდენტს შეუძლია განახორციელოს სასწავლო კურსების არჩევა სწავლების მე-2 სემესტრიდან 44 კრედიტის ფარგლებში. სტუდენტს შეუძლია მოახდინოს არჩევანი სასწავლო არჩევითი კურსებიდან სამართლის სხვადასხვა მიმართულებით.

სწავლების მე-7 და მე-8 სემესტრი ეთმობა პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების შესრულებას. პრაქტიკული კომპონენტი ასახვას პოულობს იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, ხოლო კვლევითი კომპონენტი ასახვას პოულობს საბაკალავრო ნაშრომში, რომელიც უნდა შესრულდეს-საბაკალავრო ნაშრომის შესრულების თანდართული ინსტრუქციის მიხედვით.

სტუდენტი უფლებამოსილია, თავისი არჩევანის შესაბამისად, ნებისმიერ სემესტრში, 10 კრედიტის ფარგლებში, აირჩიოს ერთი ან რამდენიმე სასწავლო კურსი, სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული ამავე საფეხურის სხვა პროგრამიდან ან ამ პროგრამით შეთავაზებული სასწავლო მოდულებიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები, შესაბამისად, აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ამასთან, სტუდენტმა უნდა დაიცვას არჩევითი სასწავლო კურსის /კურსების შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა.

**\*შენიშვნა:** სპეციალიზაციის 3 არჩევითი კურსი წარმოადგენს ინტენსიურ კურსს, რომლებსაც უძღვებიან გერმანიიდან და საფრანგეთიდან მოწვეული სპეციალისტები. ინტენსიური კურსი მოიცავს 8 კვირას, მე-3 და მე-6 კვირას ტარდება შუალედური გამოცდა, ხოლო მე-8 კვირას დასკვნითი გამოცდა. დასკვნითი გამოცდის გადაბარება შესაძლებელია 10 დღის შემდეგ. ასევე კონცენტრაციის 4 არჩევითი სასწავლო კურსი იკითხება უცხო -ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენაზე.

## **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება, სწავლების პროცესში, სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და ეფუძნება შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ გაწეული შრომის(თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის)შეფასება გარკვეული შეფარდებით მოიცავს:

- სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შედეგების შეფასებას (სემესტრულ აქტივობას);
- შუალედურ სემესტრულ შეფასებებს;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას;
- პრაქტიკული კომპონენტის შეფასებას;
- კვლევითი მუშაობის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიითი (ტესტი, კაზუსი, პრეზენტაცია, და ა.შ) გამოკითხვა.

შეფასების ფორმები, წესი, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, განსაზღვრულია სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ ინდივიდუალურად, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან დასწავლების მიზნებიდან გამომდინარე, ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. პროფესორი, სასწავლო კურსის სილაბუსს სტუდენტებს მიაწვდის და გააცნობს სასწავლო სემესტრის პირველივე კვირაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსების სწავლებისას სტუდენტების თითოეულ სასწავლო კურსში (საგანში) მოსწრება ფასდება ევროპული 100 ქულიანი შეფასების სისტემით:

**შეფასების სისტემა უშვებს:**

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი ნიშნავს - *A* “ფრიადი;”
- მაქსიმალური შეფასების 81-90 % ნიშნავს - *B* “მალიანკარგი;”
- მაქსიმალური შეფასების 71-80 % ნიშნავს - *C* “კარგი;”
- მაქსიმალური შეფასების 61-70 % ნიშნავს - *D* “დამაკმაყოფილებელი;”
- მაქსიმალური შეფასების 51-60 % ნიშნავს - *E* “ საკმარისი;”

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- მაქსიმალური შეფასების 41-50% ნიშნავს - *Fx* “ვერ ჩააბარა,”სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- მაქსიმალური შეფასების 0-40 % ნიშნავს *F* “ჩაიჭრა”,სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:**

სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება, თუ მას სემესტრული შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა.

**დამატებით გამოცდაზე გასვლა** შესაძლებელია იმავე სემესტრში დასკვნით გამოცდაზე გასვლიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ.

**კრედიტის მინიჭების წინაპირობაა მინიმუმ ჯამში 51 ქულის დაგროვება.**

**სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება – 100 ქულა.**



დასკვნითი გამოცდა არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას.

შუალედური სემესტრული შეფასება დაყოფილია კომპონენტებად:

აქტივობა-სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, რეფერატის მომზადება /პრეზენტაცია, ქვიზი, დისკუსია და სხვ. (დაკონკრეტებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში)

\* 2 შუალედური გამოცდა

\* კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება. კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი შესაბამის სილაბუსში.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა მინიმუმ ჯამში 51 ქულის დაგროვება.

### **ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობა**

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება(სავალდებულო კომპონენტების ჩათვლით).

### **აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა**

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია/ და ეძლევა საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი, შესაბამისი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

### **დიპლომის კატეგორიის განსაზღვრა**

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის საჭიროა კუმულატიური GPA–ის გაანგარიშება, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულს აძლევს საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი წარჩინების ან სახელმწიფო ნიმუშის ჩვეულებრივ დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი დანართის ნიმუშთან ერთად.

### **საკონტაქტო პირი:**

**პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი დოდო ჯულუხაძე

**ელ.ფოსტა:** [djulukhadze@yahoo.com](mailto:djulukhadze@yahoo.com)

## ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - სტომატოლოგია (Dentistry)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი

**Doctor of Dental Medicine (D.M.D)**

სწავლების საფეხური: ერთსაფეხურიანი

**პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 300 ECTS კრედიტი.**

**300 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:**

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები- 35 ECTS კრედიტი
- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 5 ECTS კრედიტი
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 246 ECTS კრედიტი
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 14 ECTS კრედიტი

**პროგრამის ხანგრძლივობა - 5 აკადემიური წელი, 10 სემესტრი**

**სწავლების ენა-ქართული**

**პროგრამის მიზანი**

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“ ემსახურება სტუდენტზე ორიენტირებული სამედიცინო განათლების მიღებას, რომელიც დაფუძნებულია საბაზისო სამედიცინო, კერძოდ სტომატოლოგიური სასწავლო კურსების საფუძვლიან ცოდნასა და მასზე დამყარებულ კლინიკური და კვლევითი დისციპლინების შესწავლაზე ხარისხიანი კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებით, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მაღალი დარგობრივი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას, რომელნიც გააგრძელებენ სწავლას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, ან გაივლიან დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამას. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ინტეგრირებულ განათლებას და თავისი შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს - მაგისტრატურას. საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ა) სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი), ან მასთან

გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე.

- საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად, დადგენილი პროცედურებისა და დაწესებულებაში არსებული წესის დაცვით.

- საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

ბ) სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

- საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

- პირებისათვის (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში, ჩააბარებენ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას ინგლისურ ენაში. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის გამოსაცდელმა უნდა დააკმაყოფილოს A2 დონე (გამსვლელი ქულაა მინიმუმ 51) ან წარმოადგინოს ენის ცოდნის დამასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი.

### ***პროგრამის სწავლების შედეგები:***

#### ***ცოდნა და გაცნობიერება***

#### ***კურსდამთავრებულს ექნება:***

- საბაზო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლიანი ცოდნა;
- კლინიკური მეცნიერებების საფუძვლიანი ცოდნა;
- ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა;
- კვლევის ინსტრუმენტული, ლაბორატორიული მეთოდებისა და საშუალებების ცოდნა;
- ფარმაკოლოგიური საშუალებების (კლასიფიკაცია, ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა, დოზირება) და მათი დანიშვნის პრინციპებისა და გვერდითი ეფექტების ცოდნა; რეცეპტურის გამოწერა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ცოდნა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება;

- სისტემების მიხედვით ტიპური და ფართოდ გავრცელებული დაავადებების მკურნალობის პრინციპების, გაიდლაინებითა და პროტოკოლებით სარგებლობის ზოგადი პრინციპების ცოდნა;
- ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა;
- სტომატოლოგიური კაბინეტის მოწყობისა და აღჭურვილობის ცოდნა.

## 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების დემონსტრაცია:

- სტომატოლოგიური პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა; პროფილაქტიკური გამოკვლევებისა და ღონისძიებების ჩატარება: ინდექსების განსაზღვრა, დაზიანების ხარისხის დადგენა, პროფილაქტიკური საშუალებების მომზადება და გადაუღებელი სტომატოლოგიური შემთხვევების დროს პირველადი დახმარების გაწევა;
- სტომატოლოგიური პაციენტის გამოკვლევის ოპტიმალური გეგმის შედგენა და საჭიროების შემთხვევაში ადექვატური მკურნალობის დაწყება;
- პრაქტიკული პროცედურების ჩატარება;
- პროფილაქტიკური და ჰიგიენური ღონისძიებების გატარება;
- დიფერენციული დიაგნოსტიკის გატარება, სამედიცინო პრობლემების განხილვაში მონაწილეობის მიღება;
- ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება;
- კლინიკური სიმპტომების, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევის მონაცემების ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე დიფდიაგნოზის გაკეთება და დიაგნოზის დასაბუთება მტკიცებულებებზე დაყრდნობით;
- სტომატოლოგიური პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება; პაციენტის ეფექტური მართვა.

## დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- შეუძლია არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულად შეფასება და დამოუკიდებელი ანალიზი;
- შედეგების გასაგებად გადმოცემა და მათი გამოყენება;
- კლინიკური შემთხვევის შეფასების, გამოკვლევების დანიშვნის, დიფერენციული დიაგნოზის გატარების, დიაგნოზის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარი;
- პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვის უნარი;
- ახალი ინფორმაციის კრიტიკულად მიდგომის, მონაცემების გაანალიზების, შეჯამების, ინტეგრაციის, დასკვნის გამოტანის უნარი;
- კლინიკური აზროვნება;

- გადაწყვეტილების მიღების უნარი, კერძოდ, კომპლექსური პრობლემის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრის, მოსალოდნელი შედეგების ანალიზისა და საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- საკუთარი სპეციალობის ფარგლებში დამატებით რესურსების გამოყენების ეფექტური უნარი.

## კომუნიკაციის უნარი

### კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პროფესიულ საკითხებზე ეფექტური ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია;
- ლათინურ ენაზე სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენებით და პროფესიულ წრეებში წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია;
- აზრის სწორად შეჯერება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა;
- პაციენტის ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების გათვალისწინებით მასთან ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, ანამნეზის მოგროვება და წერილობითი ფორმით რეგისტრაცია;
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- მიზნობრივად ინფორმაციის მოძიება, შენახვა და მისი რელევანტურად გამოყენება;
- სანიტარული განათლების ჩატარება – ავადმყოფთან უშუალო კონტაქტი, ჯგუფური დისკუსიების წარმართვა, სანიტარული და სამედიცინო ცოდნის გავრცელება.
- ავადმყოფთან ეფექტური კომუნიკაცია კულტუროლოგიური, ეთნიკური, რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით, მიღებული მონაცემების ჩამოყალიბება, რეგისტრაცია და ავადმყოფის ისტორიის წარმოება.
- ზეპირი და წერილობითი მოხსენების გაკეთება პაციენტის მდგომარეობის შესახებ; მოთხოვნის თანახმად ავადმყოფის ისტორიიდან ამონაწერის, ან მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- გამოკვლევის შედეგების ჩამოყალიბება გამოტანილი დიაგნოზის დადასტურების მიზნით.
- ავადმყოფების ინსტრუქტაჟის ჩატარება მოვლისა და ჰიგიენურ საკითხებთან მიმართებაში;
- მულტიდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა, მონაცემების შეჯერება. ერთობლივი გადაწყვეტილებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის მოძიება და ცოდნის გამდიდრება .
- პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებების წარმართვა.

## **სწავლის უნარი**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საკუთარი ცოდნის დონის მრავალმხრივად შეფასება და მომავალი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად დაგეგმვა კონკრეტული მიმართულებით ცოდნის გაფართოების თვალსაზრისით;
- თანამედროვე საინფორმაციო პროცესის მართვა და რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის მოძიება და ცოდნის გამდიდრება;
- მულტიმედიისა და ელექტრონული ინტერაქტიული პროგრამების გამოყენება მედიცინაში და კერძოდ, სტომატოლოგიაში;
- უწყვეტი სტომატოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება;
- სანიტარული განათლების ჩატარება, სანიტარული და სამედიცინო ცოდნის გავრცელება.

## **ღირებულებები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საკუთარი კომპეტენციის დიაპაზონის განსაზღვრა ღირებულებათა სისტემაში კოლეგების დამოკიდებულების შეფასება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და მათი გაზიარება;
- მუშაობა პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით;
- სამედიცინო კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, პაციენტის ინტერესებისა და კონფიდენციალურობის პროფესიული ეთიკის ფარგლებში დაცვა;
- ჰიგიენური ნორმების განსაზღვრისა და დაცვის აუცილებლობა დაავადებების პრევენციისათვის;
- სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით პაციენტთან ეფექტური კომუნიკაცია;
- პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვა პროფესიული საქმიანობის წარმოების პროცესში;
- სტომატოლოგიური სამსახურის აუცილებლობის განსაზღვრა მოსახლეობის ჯანმრთელობის პრევენციისათვის;
- მონაწილეობის მიიღება მედიცინის სფეროსა და ზოგადად, ეთიკური ღირებულებების ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლის შედეგებისა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევა უზრუნველყოფილია **სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგი ფორმებით** :

- ლექცია – ვერბალური, სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით.
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა - ლექციაზე განხილული საკითხების განხილვა-გაცნობიერება, პრაქტიკული სახის მაგალითების განხილვა, ანალიზი და შეფასება.
- სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა: სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობა, რომელიც მოიცავს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობას, შესწავლას, გაცნობიერებას ყოველდღიური დავალების შესრულებისას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლის შედეგების - დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევა უზრუნველყოფილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით . **სწავლების პროცესში გამოიყენება ისეთი აქტიური მეთოდები**, როგორცაა: ინტერაქტიური ლექციები, სემინარები, შუალედური გამოცდები, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი (ჩანაწერების, ამონაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება), დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, კლინიკურ შემთხვევაზე (CBL) დაფუძნებული სწავლება კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL), დემონსტრირების, ლაბორატორიული სწავლის მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები (პაციენტი-ექიმი), თანამშრომლობითი სწავლება (cooperative), შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიშის მეთოდი (brain storming), სწავლება კლინიკურ გარემოში (bedside teaching), ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი

უცხო ენის სწავლების პროცესში ასევე გამოიყენება : კომუნიკაციური სწავლების მეთოდი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და აერთიანებს ამ მიმართულებით ეფექტურ მრავალ სხვა მეთოდს, რომლებიც ასევე აქტიურად გამოიყენება ჩვენი სასწავლო კურსის სწავლებისას. წყვილური მუშაობა (pairwork) -ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა წყვილებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. წყვილები ერთობლივად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ დანარჩენ წევრებს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სწავლა სწავლებით — ამ შემთხვევაში პედაგოგი გვევლინება უფრო კოორდინატორად, ვიდრე მასწავლებლად, რადგან სტუდენტები თვითონ ასწავლიან ერთმანეთს დამოუკიდებლად, შესაბამისად ეს მეთოდი განიხილება როგორც **კომუნიკაციური სწავლების ნაწილი**. აუდიო-ვიზუალური მეთოდი-გამოიყენება მხოლოდ ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სტუდენტები პასუხობენ

კითხვებზე; ორჯერ მეორდება იგივე პროცესი, ლექტორი ამხვილებს ყურადღებას საკვანძო სიტყვებზე, ხდება მათი ამოწერა დემონსტრირების მეთოდით დაფაზე. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი- რომლის მთავარი მიზანია წერითი თარგმანისა და კითხვის სწავლა. გარკვეული გრამატიკული წესების ათვისებისათვის გამოიყენება სპეციალური ტექსტები და მიმდინარეობს მუშაობა ამ ტექსტებზე-სიტყვების დამახსოვრება, ორთოგრაფიისა და გრამატიკის შესწავლა.

სტუდენტები სწავლების პირველივე წლიდანვე აქტიურად ჩაერთვებიან კვლევით საქმიანობებში (მონაცემების შეგროვება, კითხვარების დარიგება, გამოკითხვების ჩატარება და სხვა), მაღალკურსელი სტუდენტები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში, ასევე სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე მოაწყობენ ექსპერიმენტებზე დაფუძნებული ნაშრომების პრეზენტაციას. დამამთავრებელ კურსებზე, კლინიკური სასწავლო კურსების სწავლებისას, სტუდენტები კლინიკაში მოახდენენ მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნის და სიმულატორებზე გამომუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ შეასრულებენ სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციებს.

### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსების სწავლებისას სტუდენტების თითოეულ სასწავლო კურსში მოსწრება ფასდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტური შეფასების სისტემით:

#### **არსებობს 5 სახის დადებითი შეფასება:**

- (A) **ფრიადი** - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) **ძალიან კარგი** - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) **კარგი** - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) **დამაკმაყოფილებელი** - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) **საკმარისი** - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

#### **ორი უარყოფითი შეფასება:**

- (FX) **ვერ ჩააბარა** - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) **ჩაიჭრა** - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

#### **საკონტაქტო პირი:**

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ნინო გოგებაშვილი

პროფესორი ირინე ვაშაკიძე

ელ.ფოსტა: [ninagogebashvili@gmail.com](mailto:ninagogebashvili@gmail.com); [irinavashakidze@gmail.com](mailto:irinavashakidze@gmail.com)

მობილური: +995 599 28 18 98; +995 577 71 50 70.



## ფარმაციის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - ფარმაცია (Pharmacy)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაციის ბაკალავრი Bachelor of Pharmacy (BPh)

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 ECTS კრედიტი.

საბაკალავრო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 35 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები – 151 კრედიტი;
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები – 19 კრედიტი;
- თავისუფალი კრედიტები - 15 კრედიტი;
- პრაქტიკა - 10 კრედიტი;

პროგრამის ხანგრძლივობა-4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი

სწავლების ენა-ქართული;

### პროგრამის მიზანი

ფარმაცია ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების ძიების, მიღების, შესწავლის, დამზადების, წარმოების, კონტროლის, შენახვისა და გაცემის წესების შესახებ, რომლის უმთავრესი დანიშნულებაცაა მოსახლეობის უზრუნველყოფა უსაფრთხო, ეფექტური, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებებით. ფარმაცევტული მრეწველობის მზარდი განვითარებისა და ფარმაცევტული ბაზრის პირობებში, ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე იზრდება მოთხოვნილება კვალიფიცირებულ სპეციალისტებზე და გამომდინარე აქედან, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აქტუალურობაა აღზარდოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ფარმაცევტული სექტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და თავის წვლილს შეიტანენ ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების სფეროში.

### საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ფარმაცევტის მომზადებას, რომელსაც გათვითცნობიერებული აქვს ფარმაციის როლი ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკაში და რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები ეფუძნება სპეციალობის სავალდებულო ფარმაცევტული დისციპლინების საფუძვლიან ცოდნასა და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთშერწყმას;

- სტუდენტისათვის საუნივერსიტეტო და სავალდებულო დისციპლინების საფუძვლიან შესწავლას და შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარის ჩამოყალიბებას;
- ლექციების, სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრეზენტაციების და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობების მეშვეობით სტუდენტებისათვის ფარმაცევტული პროდუქციის, მისი დამზადებისა და წარმოების ტექნოლოგიების, ხარისხის კონტროლის, შენახვისა და გაცემის წესების შესწავლას;
- პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტების დანიშნულება, მათი მოქმედების მექანიზმი, სხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთქმედება და გვერდითი მოვლენები.
- ჩამოყალიბოს სტუდენტს უპირატესი დამოკიდებულება ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზირებისა და სერტიფიცირებისადმი, როგორც უმთავრესი კრიტერიუმისადმი მოსახლეობის მაღალხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქციით უზრუნველყოფის საკითხში;

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება ენიჭება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიღებული ქულების კოეფიციენტით რანჟირების საფუძველზე, სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი ( ატესტატი, ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი).

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია იმ პირობათვის, რომლებიც:

- ა) სწავლობდნენ და მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება უცხოეთში სწავლისას;
- ბ) ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში და სწავლობდნენ ამ ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული

სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

## **პროგრამის სწავლის შედეგები**

### **ცოდნა და გაცნობიერება:**

#### **სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის:**

- დარგის ძირითადი პრინციპები და გაცნობიერებული აქვს ფარმაციის როლი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკაში;
- ლათინური ენის სიტყვათწარმოების პრინციპები, სამედიცინო, ბოტანიკურ და ქიმიურ პრაქტიკაში გამოყენებული ლათინურენოვანი ტერმინოლოგია და ფლობს ლათინური ენის ლექსიკას;
- შეუძლია ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნორმალური და პათოლოგიური პროცესების, მათი მექანიზმების და კანონზომიერებების გაცნობიერება;
- ქიმიური დისციპლინები (ზოგადი და არაორგანული, ორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, სამედიცინო ქიმია, ბიოქიმია, ფიზიკური და კოლოიდური ქიმია, ფარმაცევტული ქიმია და ტოქსიკოლოგიური ქიმია) და მათ ცოდნაზე დაფუძნებული ფარმაცევტული პროდუქციის ვარგისობისა და ხარისხის განმსაზღვრელი მეთოდები;
- სხვადასხვა დაავადებების დროს გამოყენებული სამკურნალო საშუალებების მოქმედება და მიღების წესები ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით;
- სამკურნალო მცენარეების რაციონალური გამოყენებისა და ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტური სამკურნალო საშუალებების შექმნის პრინციპები;
- სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლის მეთოდები, მიღების, მოხმარებისა და შენახვის ეტაპებზე;
- სამკურნალო მცენარეების სახეობები, მათი დანიშნულება და მათ ბაზაზე სამკურნალო საშუალებების დამზადების სააფთიაქო და საწარმოო ტექნოლოგიები;
- სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების წესები და მათი ხარისხის განმსაზღვრელი სტანდარტები;
- სხვადასხვა წამლის ფორმების დამზადების სამრეწველო და სააფთიაქო ტექნოლოგიის მეთოდები;
- სხვადასხვა სახის ფარმაცევტული პროდუქციის რეგისტრაციისა და რეკლამირების წესები;
- ფარმაცევტული საქმიანობის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები;
- კოლეგებთან და მომხმარებელთან ურთიერთობის აუცილებელი ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის სტანდარტები;

- სხვადასხვა სახის ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის კონტროლის, რეკლამირებისა და საქონელბრუნვის მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები;

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები**

#### **სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:**

- ინგლისურ/გერმანულ ენოვანი და ლათინური სამედიცინო ფარმაცევტული ტერმინოლოგიის გამოყენება პროფესიულ საქმიანობასა და ურთიერთობების დროს;
- ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი;
- ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის კონტროლის კრიტერიუმების მეშვეობით მისი ვარგისიანობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის განსაზღვრა და შესაბამისობის დადგენა სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან;
- ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის განსაზღვრა სასაქონლო ექსპერტიზისა და თანამედროვე ფიზიქო-ქიმიური მეთოდების მეშვეობით;
- საქონელბრუნვისა და სამომხმარებლო მოთხოვნილების ანალიზის საფუძველზე სააფთიაქო დაწესებულებებისათვის ფარმაცევტული პროდუქციის ოპტიმალური ასორტიმენტის განსაზღვრა, სათანადომომარაგების დაგეგმვა და საქონელბრუნვის პროგნოზირება;
- წამლის სააფთიაქო და სამრეწველო ტექნოლოგიაში გამოყენებული აპარატურა-დანადგარების მართვა, მათი მუშაობის პრინციპი და უსაფრთხოექსპლუატაციის წესები;
- ფარმაცევტული საწარმოს მატერიალური ბალანსის განსაზღვრა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა;
- სხვადასხვა სახის ფარმაცევტული პროდუქციის რეგისტრირება და რეკლამირება;
- ექსტრემალურ პირობებში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;

### **დასკვნის უნარი**

#### **სტუდენტს აქვს:**

- პრეპარატის გამოყენების ინსტრუქციის ინფორმატიულობაზე, ფარმაცევტული პროდუქციის დასამზადებლად გამოყენებული ტექნოლოგიური მეთოდის ოპტიმალურობაზე, რენტაბელობაზე და წარმოებული პროდუქციის ხარისხზე ობიექტური დასკვნის გამოტანის უნარი;

#### **სტუდენტს შეუძლია:**

- ანალიზის მეთოდების გამოყენებით სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ნამდვილობასა და კეთილხარისხოვნებაზე დასკვნის გაკეთება;

- დაავადების ფარმაკოთერაპიული მკურნალობის სქემის ოპტიმალურობასა და უსაფრთხოებაზე დასკვნისგაკეთება;
- სამკურნალო საშუალებების ოპტიმალურ არჩევანზე და რაციონალური გამოყენების სტრატეგიაზე დასკვნისგაკეთება;
- ფარმაცევტული ბაზრის რეალურ მოთხოვნილებასა და სამკურნალო საშუალებების გამოყენების ეკონომიკურ ასპექტებზე დასკვნისგაკეთება.

## **კომუნიკაციის უნარი**

### **სტუდენტს აქვს:**

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარი;
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ფარმაცევტულ პროდუქციასთან დაკავშირებული ინფორმაციის თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად გადაცემის უნარი;
- ფარმაცევტულ და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებული გარკვეული სახის ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხზე, მისი გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე მომხმარებლის ინფორმირებისა და კომპეტენტური კონსულტირების უნარი;
- ორგანიზმზე გარკვეული სამკურნალო საშუალებების ზეგავლენის დადებით და უარყოფით მხარეებზე არგუმენტირებული დისკუსიის უნარი;
- მომხმარებელთან, საჯარო და კერძო სტუქტურებთან მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;
- ზეპირი და წერილობითი ფორმით ინფორმაციის გაცვლის უნარი.

## **სწავლის უნარი**

### **სტუდენტს შეუძლია:**

- კონკრეტული პროფესიული მიზნების მისაღწევად და ცოდნის გასაღრმავებლად სპეციალურ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობა;
- ფარმაციის სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით;
- ჩამოყალიბებული აქვს პროფესიულიზრდისა და დიპლომის შემდგომი განათლებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სწავლის მართვის უნარი.

### **ღირებულებები**

- სტუდენტს აქვს ფარმაცევტული ეთიკისა და სამედიცინო დეონტოლოგიის საფუძველზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ღირებულებები, რომლითაც ხელმძღვანელობს სამედიცინო საზოგადოებასთან და მომხმარებელთან ურთიერთობაში;

- ჩამოყალიბებული აქვს პროფესიული თვითშეგნება, გაცნობიერებული აქვს ფარმაციისა და ფარმაცევტის როლი ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკაში, მაღალიპასუხისმგებლობით ეკიდება და იცავს საკუთარ პროფესიულ მოვალეობას;
- ობიექტურად აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი, ითვალისწინებს ადეკვატურ პროფესიულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში კრიტიკულად აფასებს საკუთარ საქმიანობას;
- მზად არის საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს სხვას;
- ფარმაცევტული საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს;
- კრიტიკულ სიტუაციებში, მათ შორის საგანგებო რეჟიმში მუშაობისა და ავარიული სიტუაციების დროსაც, მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

## სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

სასწავლო დისციპლინების ოპტიმალური ათვისებისათვის ტრადიციულ პედაგოგიურ მეთოდებთან ერთად ფართოდ გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ზრდიან სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესში და ამცირებენ დისციპლინარულ პრობლემებს.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობების უწყვეტ ციკლს. თეორიული სწავლების დანიშნულებაა ლექციებით, ჯგუფში მუშაობით და სემინარული მეცადინეობებით შესასწავლი სასწავლო კურსების სწავლება, ხოლო პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების დანიშნულებაა თეორიული ცოდნის პრაქტიკული ამოცანებით გადრმავება და განმტკიცება, რაც თეორიული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველს წარმოადგენს. სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა: სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობაა, რომელიც მოიცავს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობას, შესწავლას, გაცნობიერებას ყოველდღიური დავალების შესრულებისას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის.

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება სასწავლო კურსის სწავლის მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინების სილაბუსში აიხსნება.

სასწავლო დისციპლინების ფორმატი არ არის სტანდარტული, არც სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა სტანდარტული. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და

მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო ჭირდება კონკრეტული დისციპლინის შესწავლას. ამ პრინციპების გათვალისწინებითაა დაანგარიშებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დროებიც.

თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო-სააუდიტორო მუშაობისათვის განკუთვნილი საათების გადანაწილებას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, სილაბუსის მეშვეობით ახორციელებს თვითონ პროფესორი საქმიანობის სხვადასხვა ფორმებს შორის, როგორცაა ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო/ჯგუფში მუშაობა, შუალედური, დასკვნითი გამოცდები, პრეზენტაცია და ა.შ.

### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსების სწავლებისას სტუდენტების თითოეულ სასწავლო კურსში მოსწრებაფასდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტური შეფასების სისტემით:

არსებობს დადებითი შეფასება:

(A) **ფრიადი** - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) **ძალიან კარგი** - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) **კარგი** - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) **დამაკმაყოფილებელი** - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) **საკმარისი** - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი უარყოფითი შეფასება:

(FX) **ვერ ჩააბარა** - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) **ჩაიჭრა** - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

### **საკონტაქტო პირი:**

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ფარმაცის დოქტორი ზურაბ რობაქიძე  
ფილოსოფიის დოქტორი კონსტანტინე კაჭარავა

**ელ.ფოსტა:** [zurabrobakidze@yahoo.com](mailto:zurabrobakidze@yahoo.com); [kokakacharava@mail.ru](mailto:kokakacharava@mail.ru)

**მობილური:** +995 599 29 85 52; +995 568 71 44 04

## სამაგისტრო პროგრამები



## ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - ბიზნესის ადმინისტრირება  
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (Master of Business Administration (MBA))

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 120 ECTS კრედიტი.

**120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:**

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 48 კრედიტი;
- პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები – 27 კრედიტი (38 კრედიტიდან)
- სამაგისტრო კვლევის პროექტი - 5 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომის თეორიულ-ექსპერიმენტალური კვლევა -10 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი
- პრაქტიკა - 10 კრედიტი

სწავლების ენა - ქართული,

### **პროგრამის მიზანია**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან- უმაღლესი განათლება მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამა უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით თეორიულ და კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემურ ცოდნის მიწოდებას, ბიზნეს ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტური მართვის, რისკების ანალიზისა და მათი პრევენციის უნარების გამომუშავებას. შესაბამისად, პროგრამის მიზანია XXI საუკუნის ბიზნესის სფეროს მენეჯერთა მომზადება, რომელიც მყარი გარანტიაა ქვეყნისთვის ეკონომიკური თავალსაზრისით. ამ მიზნის შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაში "ბიზნესის ადმინისტრირება" სწავლების ძირითადი მიზნები და ამოცანები შემდეგია:

მომზადდეს შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება

ლოკალიზაციის პროცესების ღრმა და სისტემური ცოდნა. აგრეთვე, დაეუფლოს ბიზნესში მისი ფუნქციონალური სფეროების თავისებურებებს, ბიზნესის თეორიებს, კანონზომიერებებსა და განვითარების

ტენდენციებს, საერთაშორისო ბიზნესის ფორმებსა და რეგულირების მეთოდებს, საერთაშორისო მარკეტინგს და სხვა აქტუალურ საკითხებს. ყოველივე ეს სტუდენტს მისცემს აღნიშნული სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, რაც მას დაეხმარება ახალი ორიგინალური იდეების შემუშავებასა და ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერებაში.

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: გასაუბრება სპეციალობაში და გამოცდა უცხოურ ენაში - ინგლისური (B2 დონე).

- ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციის დონის დადასტურება შესაძლებელია კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდის (FCE), ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდის (IELTS – 5,5-6,5) ან ტოიფელის (TOEFL PBT - 567-636) შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით, შესაბამისი ენობრივი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისურ ენაში საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან. მაგისტრანტობის კანდიდატი, ასევე, თავისუფლდება ინგლისურ ენაში მისაღები გამოცდის ჩაბარებისგან, თუ მას გავლილი აქვს ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, ან მინიმუმ ერთი ან ორი სემესტრი ( საქართველოში ან უცხოეთში).

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

## **პროგრამის სწავლის შედეგები**

### **ცოდნა და გაცნობიერება**

#### **კურსდამთავრებულმა იცის:**

- ღრმა და სისტემურ დონეზე გლობალური ბიზნეს სუბიექტების და მათი ბიზნეს-ინტერესების განსაზღვრა; გლობალური ბიზნესის წარმართვისას ურთიერთობების კონტრაგენტების - სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გეოგრაფიული, პოლიტიკური და სამართლებრივი სპეციფიკის გაცნობიერება, ანალიზისა და საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტის ტექნოლოგიები.

- ღრმა და სისტემურ დონეზე სტრატეგიულ მენეჯმენტში გრძელვადიანი კონკურენტული სტრატეგიების შემუშავების პრინციპები, შეფასების მექანიზმები და პრინციპები, რომლის საფუძველზეც გააცნობიერებს სტრატეგიულ მენეჯმენტში ცალკეული პრობლემის გადაჭრის მართვის ახალ,

ორიგინალურ გზებს.

- ღრმა და სისტემურ დონეზე რისკის სახეები, ეკონომიკური რისკები და მათი კლასიფიკაცია, ინოვაციური მეწარმეობა და მისი რისკები, ორგანიზაციის საქმიანობაზე მოქმედი გარეშე და შიდა რისკ-ფაქტორები, რისკების გამოვლენის მეთოდები და გაკოტრების პროგნოზირება; კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს ბიზნეს-ერთეულის საქმიანობაში სხვადასხვა სახის რისკებთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზები.
- ღრმა და სისტემურ დონეზე ორგანიზაციული ქცევის მეცნიერული საფუძვლები და კანონზომიერებები, ორგანიზაციული ქცევის მექანიზმები, პერსონალის მოტივაცია, ინდივიდუალური ქცევა, გუნდური მუშაობა, ორგანიზაციული კულტურის ფორმირება და შენარჩუნება, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების წარმართვა, ცვლილებების და ინოვაციების მართვა და ა.შ. ყოველივე ეს კურსდამთავრებულს აძლევს ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.
- სიღრმისეულ დონეზე მარკეტინგის სპეციფიკა გლობალურ პირობებში, მარკეტინგული შესაძლებლობების გამოვლენა და შეფასება საერთაშორისო მასშტაბით, დაუფლებულია მარკეტინგულ/კონკურენტთა კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარ-ჩვევებს, რომელიც საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ფირმის მარკეტინგული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებაში, კონცეპტუალური წინადადებების წარმოდგენაში.
- სიღრმისეულად იცის კულტურათშორისი თანამშრომლობის ფორმები, ღირებულებათა სისტემა, კულტურის, ეთნიკურობის, რელიგიის, გენდერის, სოციალური ფაქტორების გათვალისწინება, მათი ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე ზეგავლენის გაცნობიერება, რომელიც დაეხმარება ახალი მულტიკულტურული ორგანიზაციის ეფექტურ მართვაში;
- ღრმა და სისტემურ დონეზე ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები და მეთოდები ორგანიზაციაში, რომელიც საშუალებას მისცემს კონკრეტულ სიტუაციაში გააცნობიეროს და შეიმუშაოს ორგანიზაციის პერსონალის

ეფექტური საქმიანობის ხელშემწყობი სისტემა და გამოიყენოს ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის; ადამიანური რესურსების ორგანიზაციული მართვის კულტუროლოგიური ასპექტები, რომელიც საშუალებას მისცემს გააცნობიეროს ქცევითი და ნაციონალური, გენდერული და ა.შ. თავისებურებები.

- ღრმა და სისტემურ დონეზე კვლევის მეთოდების ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემს ბიზნესის სფეროში შეარჩიოს კვლევის ობიექტის რელევანტური კვლევის მეთოდი, მოიძიოს საჭირო მასალა, გააკეთოს მიღებული მონაცემების შეფასება და ანალიზი, შეძლოს არგუმენტირებული დასკვნის გაკეთება.

## ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

### კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გლობალური ბიზნეს-ურთიერთობების სუბიექტების და მათი ბიზნეს-ინტერესების განსაზღვრა, გლობალური ბიზნესის წარმართვისათვის ურთიერთობების კონტრაგენტების - სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გეოგრაფიული,

პოლიტიკური და სამართლებრივი სპეციფიკის გათვალისწინება, ანალიზისა და საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტის ტექნოლოგიების გამოყენება;

გლობალური ბიზნესის აქტუალური პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა.

- გუნდური მუშაობა, ორგანიზაციული კულტურის ფორმირება და შენარჩუნება, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების წარმართვა, ცვლილებების და ინოვაციების მართვა ორგანიზაციაში.

- რისკების შეფასების უნარი; შეუძლია გაუთვალისწინებელ და

მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება. კერძოდ, ნებისმიერი სახის ბიზნეს-ერთეულში რისკების გამოვლენის მეთოდების გამოყენებით გაკოტრების პროგნოზირება, რისკების მართვა, ინოვაციურ მეწარმეობაში რისკების შეფასება და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.

- საერთაშორისო მარკეტინგში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება მარკეტინგული მიდგომების გამოყენებით.
- კულტურის, ეთნიკურობის, რელიგიის, გენდერის, სოციალური კლასის შემადგენლობის მიხედვით ორგანიზაციის სპეციფიკის თავისებურებების გაცნობიერების საფუძველზე მულტიკულტურული ორგანიზაციის ეფექტური მართვა.
- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება. კერძოდ: უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეროვნულ ეკონომიკაში მათი რაციონალური განთავსების სტრატეგიასთან მიმართებაში ორიგინალური იდეების/გზების ძიება სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას;
- სტრატეგიულ მენეჯმენტში შემენილი ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ და უცნობ გარემოში (მიკრო, მაკრო) დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში; აგრეთვე, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება სტრატეგიული მენეჯმენტის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შეუძლია ორგანიზაციის ადამიანური რესურსების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს ორგანიზაციის პერსონალის ეფექტური საქმიანობის ხელშემწყობი სისტემა, ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ადამიანური რესურსების მართვის მეთოდი, გაითვალისწინოს ორგანიზაციის ქცევითი და ნაციონალური, გენდერული, თავისებურებები.

## დასკვნის უნარი

### კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ორგანიზაციული კულტურის შენარჩუნება და აუცილებლობის შემთხვევაში, მოახდინოს მასთან სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანა/სინთეზი; ორგანიზაციული ცვლილებების იდენტიფიკაცია და წინააღმდეგობების დაძლევა;
- რისკების მართვაში რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; რისკის დივერსიფიკაციის პრაქტიკაში გამოყენება, სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების პორტფოლიოების მომზადება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, რისკების შემცირება და სწორი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღება.
- სტრატეგიულ მენეჯმენტში უახლესი მეთოდოლოგიის შესწავლისა და კონკურენტ ფირმათა კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება, რაც თავისთავად უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს გულისხმობს; კორპორაციული კულტურების შესწავლის საფუძველზე, შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებშიც სუბკულტურების ცოდნისა და მოსაზრებების

გამოყენებასთან დაკავშირებული სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები აისახება;

- ორგანიზაციის ადამიანური რესურსების კრიტიკული შეფასების საფუძველზე ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ დასაბუთებული დასკვნის წარმოდგენა.

გლობალური კონკურენტული ბაზრებისთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციული რესურსების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება.

- ბიზნესის სფეროში კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ინოვაციური სინთეზი.

## კომუნიკაციის უნარი

### კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მულტიკულტურულ საზოგადოებაში ეფექტური კომუნიკაციის უნარი ინდივიდუალური კულტუროლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;
- ჯგუფური მუშაობის უნარების გამოყენება ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება ბიზნეს სფეროში საქმიანობისა და კვლევის განხორციელების პროცესში;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით ბიზნესის სფეროში ჩატარებული კვლევების შესახებ, მენეჯერული აღრიცხვის შედეგად მიღებული დასკვნების, არგუმენტაციისა და გამოყენებული კვლევის მეთოდებზე კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენაზე ( ინგლისური)

### სწავლის უნარი კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან სამეცნიერო და სტატისტიკური ინფორმაციის მიღება, დამოუკიდებლად დამუშავება, თანამედროვე მეთოდებით კვლევა და მიზნობრივად გამოყენება, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, პროგნოზირება და სტრატეგიული დაგეგმვა.
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებათა გაცნობიერება და ავლენს სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალ დონეს;
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- ცოდნის განახლება და დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება.



## ღირებულებები

კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს/შეუძლია:

- ორგანიზაციული კულტურის ასპექტების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
- კულტუროლოგიური ფაქტორების გათვალისწინება და პატივისცემა, მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
- ადამიანური ინდივიდუალურობის ასპექტების გათვალისწინებისა და პატივისცემის აუცილებლობა და მათი დამკვიდრებისათვის წვლილის შეტანა.

## სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

*სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება უმაღლეს განათლებაში მიღებული ტრადიციული და აპრობირებული სწავლის ფორმები და მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, წერიტი მუშაობა პრეზენტაცია, ქვიზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, შემთხვევის ანალიზი (Case study) ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, დემონსტრირების მეთოდი და სხვ. ლექტორი ინდივიდუალურად ირჩევს სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, რაც ასახულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში.*

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა,

## შეფასების სისტემა უშვებს:

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსების სწავლებისას სტუდენტების თითოეულ სასწავლო კურსში მოსწრებაფასდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტური შეფასების სისტემით:

## შეფასების სისტემა უშვებს:

### ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი ნიშნავს - *A* “ფრიადი;”
- მაქსიმალური შეფასების 81-90 % ნიშნავს - *B* “ძალიან კარგი;”
- მაქსიმალური შეფასების 71-80 % ნიშნავს - *C* “კარგი;”
- მაქსიმალური შეფასების 61-70 % ნიშნავს - *D* “დამაკმაყოფილებელი;”
- მაქსიმალური შეფასების 51-60 % ნიშნავს - *E* “საკმარისი”;

### ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% ნიშნავს - *F<sub>x</sub>* “ვერ ჩააბარა,” სტუდენტს ჩასაბარებად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- მაქსიმალური შეფასების 0-40 % ნიშნავს *F* “ჩაიჭრა”, სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

## საკონტაქტო პირი:

პროგრამის ხელმძღვანელი(ები) : ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ციალა  
ლომაია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი მაია  
ბენია

ელ.ფოსტა: [lomaia55@mail.ru](mailto:lomaia55@mail.ru)

[maia.benia9@gmail.com](mailto:maia.benia9@gmail.com)

## სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა (II საფეხური)

მიმართულება: სამართალი (06 01)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სამართლის მაგისტრი / Master of Law

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

სწავლის ხანგრძლივობა: 4 სემესტრი

სწავლების ენა: ქართული – უცხო ენაზე სწავლების კომპონენტით

პროგრამის ხელმძღვანელი: დოდო ჯულუხაძე, პროფესორი; ზაურ ჯინჯოლავა, პროფესორი

### პროგრამის მიზანი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, შრომით ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი იურისტის მომზადება, რომელსაც ექნება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის მზაობა და შეეძლება კვალიფიციური პროფესიული პრაქტიკული საქმიანობა. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა სამართალში - მისცეს ცოდნა სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების და ღირებულებების შესახებ.

### სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

შეასწავლოს სტუდენტს დარგში არსებული პრობლემების კვლევის სხვადასხვა მეთოდი;

გამოუმუშავოს სამართლებრივი კვლევის უნარები;

მისცეს ცოდნა და გამოუმუშაოს უნარი: დამოუკიდებლად, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვით, წერითი ფორმით, აკადემიურად და

კვალიფიციურად, ასახოს ნაშრომში, როგორც საკუთარი შეხედულებები და დასკვნები, ასევე სხვა ავტორთა მოსაზრებები და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულება;

გამოუმუშაოს დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და სხვადასხვა სახის იურიდიული დოკუმენტების შედგენის უნარები;

### **სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე, გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური/გერმანული ენის ( B2 დონის) ფარგლებში.

ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციის დონის დადასტურება შესაძლებელია კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდის (FCE), ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდის (IELTS – 5,5-6,5) ან ტოეფელის (TOEFL PBT - 567-636) შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით, ასევე გერმანულ ენაში ენის ფლობის კომპეტენციის დონის დადასტურება შესაძლებელია შესაბამისი ენობრივი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის/დიპლომის წარმოდგენის შემთხვევაში (Mittelstufe 2, DSD, ÖSD), მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისურ/გერმანულ ენაში საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან. მაგისტრანტობის კანდიდატი, ასევე, თავისუფლდება ინგლისურ/გერმანულ ენაში მოსაღები გამოცდის ჩაბარებისგან, თუ მას ინგლისურ/გერმანულ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი ევროპაში და/ან აშშ-ში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში; საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

## **პროგრამის სწავლის შედეგები**

### **ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს აქვს სამართლის დარგის/დარგების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს სამართლის დარგს/დარგებს მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები; იცის სამართლებრივი კვლევის მეთოდოლოგია; სამოსამართლო ეთიკის ნორმათა ბუნება და შინაარსი, როგორც მოსამართლის ქცევის თვითშეზღუდვის საშუალება; გაცნობიერებული აქვს მოსამართლის ქცევის მორალური პრინციპების არსი და მნიშვნელობა, მოსამართლის ძირითადი მოვალეობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი;

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის, კვლევის და განმარტების უახლესი მეთოდების გამოყენებით შეუძლია

სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება, პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. აქტუალური მეთოდოლოგიის გამოყენებით, დამოუკიდებელი სამართლებრივი კვლევის განხორციელება; შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ანალიზი, იურიდიულ სისტემაში ცვლილებათა დინამიკის ანალიზი, პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარება და იურიდიული ფორმებით არგუმენტირება;

იურიდიული სტრუქტურის / ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და მართვის თანამედროვე, ეფექტური მეთოდების გამოყენება; მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვით პრობლემური საკითხების უახლესი მიდგომებით გადაწყვეტა.

### **დასკვნის უნარი**

ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა და/ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და გამომდინარე შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას განხორციელებული კვლევისა და საკვლევი საკითხისა თუ პრობლემის სირთულიდან გამომდინარე სტუდენტს ჩამოყალიბებული აქვს დასკვნის დამოუკიდებლად გაკეთებისა და დაცვის უნარი;

### **კომუნიკაციის უნარი**

შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას, წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ და უცხო (ინგლისურ/გერმანულ) ენაზე, გადასცეს საკუთარი, დასაბუთებული სამართლებრივი დასკვნები და შესაბამისი არგუმენტები; ინოვაციური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, აწარმოოს ეფექტური კომუნიკაცია, როგორც პროფესიულ, ისე არაიურიდიულ წრეებთან;

კურსდამთავრებულს აქვს კვალიფიციური იურისტისათვის აუცილებელი უნარები და თვისებები: შეუძლია მჭერმეტყველების ხელოვნების გამოყენებით სასამართლო დარბაზში გამოსვლა; წარმოსათქმელი სიტყვის სწორად მომზადება; პროფესიული კამათის ეფექტურად და შედეგიანად წარმართვა; მოლაპარაკებების წარმოება;

შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელებისას;

### **სწავლის უნარი**

შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს სამართლის დარგის კვლევით-მეთოდოლოგიური, თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი; გაიღრმავოს ცოდნა სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, ნორმატიული ბაზის, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.

## **ღირებულებები**

არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, სტუდენტს შეუძლია უზრუნველყოს მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსება;

საჭიროების მიხედვით, შეუძლია, წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების ფორმირებაში;

აცნობიერებს სამართლის მეცნიერების კავშირს სხვა დარგებთან და პროფესიული საქმიანობის პროცესში მოქმედებს სამართლის სფეროს საზოგადოებრივი ამოცანის გათვალისწინებით.

## **დასაქმების სფერო**

სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო განისაზღვრება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის დასრულების შესაბამისად - სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს ამზადებს მოსამართლის, პროკურორის ან/და სხვა იურიდიულ პროფესიებში „შესასვლელად“. სამართლის მაგისტრისათვის ცალკეულ პროფესიაში „შესვლის“ წინაპირობაა სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდა.

## **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე – დოქტორანტურაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **სამაგისტრო პროგრამის მოცულობა**

-სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS კრედიტების სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება საშუალო მოსწრების სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

-პროგრამის ხანგრძლივობა სტანდარტულად შეადგენს 4 სემესტრს და მოიცავს 120 კრედიტს;

-1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს;

-კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა საშუალო სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

-სემესტრის განმავლობაში, სტუდენტს, უნივერსიტეტი თავაზობს მინიმუმ 30 კრედიტის (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტის ათვისების შესაძლებლობას, თუმცა, სამართლის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წლიურად კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა;

კრედიტის მიღება შესაძლებელია, მხოლოდ სტუდენტის მიერ, სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებითა“ და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს ორი აკადემიური წლის ანუ 4 სემესტრის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 120 კრედიტის მოპოვებას, მას მიეცემა შესაძლებლობა შემდეგ დამატებით სემესტრების განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.



-სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, წერიტი დავალებების შესრულებას (რეფერატების , ესეების, პროექტის და სხვა სახის წერიტი ნაშრომის შექმნასა თუ სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის იურიდიული დოკუმენტაციის შედგენას), შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, დამოუკიდებელ მუშაობას. პრაქტიკულ კურსს ადვოკატურაში; კლინიკური სწავლების პროცესში, კლიენტისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევასა და წარმომადგენლობას საჭიროების მიხედვით; სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, პრეზენტაციას და დაცვას.

## **პროგრამის სტრუქტურა**

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლა მიმდინარეობს ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით.

სამაგისტრო პროგრამა, სტუდენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, აგებულია ისე, რომ მაგისტრანტს საშუალება აქვს მიიღოს სიღრმისეული და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სპეციალობაში - შეისწავლოს სამართლის ამათუიმ მიმართულების კონკრეტული ინსტიტუტები, დაეუფლოს პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. მაგისტრანტს შეუძლია, სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან, თავისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისი კურსების არჩევა, რომელიც საშუალებას აძლევს თვითონ განსაზღვროს სასწავლო პროგრამა. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს.

აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 38 კვირას, ერთი სემესტრი 19 კვირა, მათ შორის 15 კვირა სალექციო, დანარჩენი 4 კვირა სასესიო. კერძოდ, მე-6 და მე-12 კვირა შუალედური გამოცდების პერიოდია, ხოლო მე-18 და მე-19 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდი.\* დამატებითი გამოცდისათვის გათვალისწინებული მე-20

და 21-ე კვირა, საჭიროების შემთხვევაში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.  
პროგრამა მოიცავს:

**სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 87 კრედიტი. აქედან:**

- სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული - 22კრედიტი;
- პრაქტიკული კომპონენტის მოდული - 25 კრედიტი;
- სამეცნიერო-კვლევითი-კომპონენტის მოდული - 40 კრედიტი;

**არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი-105 კრედიტი, საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 33 კრედიტი\*\*.** აქედან:

- საჯარო სამართლის მოდული -34 კრედიტი;
- კერძო სამართლის მოდული -36 კრედიტი;
- სისხლის სამართლის მოდული -35 კრედიტი;

ამასთან, სტუდენტმა არჩევითი სასწავლო კურსების მინიმუმ 25 კრედიტი უნდა აითვისოს იმ მოდულიდან, რომელშიც კვლევით ნაშრომს შეასრულებს. სასწავლო კურსების არჩევითობა ხორციელდება პირველი სემესტრიდან.

**\*შენიშვნა:** 1.სახელმწიფოს მიერ დადგენილ სადღესასწაულო დღეებში გაცდენილი საათები, ასევე ლექტორის მიერ, ნებისმიერი მიზეზით გაცდენილი საათები, ექვემდებარება აღდგენას.

**\*\*შენიშვნა:** 2. არჩევითი სასწავლო კურსებიდან 2 სასწავლო კურსი წარმოადგენს ინტენსიურ კურსს, რომლებსაც უძღვებიან გერმანიიდან და საფრანგეთიდან მოწვეული პროფესიონალები. ინტენსიური კურსი მოიცავს 8 კვირას, მე-3 და მე-6 კვირას ტარდება შუალედური გამოცდები, ხოლო მე-8 კვირას დასკვნითი გამოცდა. დამატებითი გამოცდის ჩატარება შესაძლებელია 10 დღის შემდეგ მე-10 კვირას, საჭიროების შემთხვევაში). ასევე, 3 სხვადასხვა სასწავლო კურსი იკითხება უცხო - გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენაზე.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. პროგრამას დანართის სახით ახლავს კომპეტენციების ფორმირების რუკა.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წეს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სტუდენტს უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასება - მინიმუმ 60 ქულა დაყოფილია კომპონენტებად და ასახულია შესაბამისი კურსის სილაბუსში.

სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება, როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).

**მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობა**

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება, მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის ათვისება.

### **აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება ”ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია/ და ეძლევა სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი, შესაბამისი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

### **დიპლომის კატეგორიის განსაზღვრა**

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის საჭიროა კუმულატიური GPA-ის გაანგარიშება, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულს აძლევს სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი წარჩინების ან ჩვეულებრივი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი დანართის ნიმუშთან ერთად.

**შენიშვნა:** შეფასების წესი, ფორმები, კომპონენტები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში;

### **სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი**

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ფართით, იურიდიული კლინიკისათვის გამოყოფილია შესაბამისი ფართი, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით, სილაბუსებით, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით; დამატებითი საინფორმაციო წყაროებით; გამოყენებულია აგრეთვე პრაქტიკული მუშაობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და უახლესი კომპიუტერული ტექნიკა. სტუდენტი მუშაობის პროცესში ისარგებლებს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკით, სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია

პროექტში ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის -eIFL, კერძოდ, უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

- EBSCOHost (search.epnet.com)
- BioOne ([www.bioone.org](http://www.bioone.org))
- IMF eLibrary ([www.elibrary.imf.org](http://www.elibrary.imf.org))

უნივერსიტეტს შეძენილი აქვს სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია სამართლებრივ-საინფორმაციო კომპიუტერული სისტემა „კოდექს-R3” მონაცემთა ბაზის სახით, რომლითაც სარგებლობენ როგორც სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, ასევე ადმინისტრაცია; დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

### **სამაგისტრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი**

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელება უზრუნველყოფილია კვალიფიციური პერსონალით, რომლებიც აკადემიურ თანამდებობაზე არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. უნივერსიტეტს ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, როგორც პრაქტიკოს სპეციალისტებთან, ისე, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებთან სპეციალისტად მოწვევის თაობაზე. სასწავლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები და უცხო ქვეყნებიდან მოწვეული პროფესორები კითხულობენ ლექციებს, აცნობენ ადგილობრივ და უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას პრობლემურ საკითხებზე, აკეთებენ შედარებით ანალიზს და სტუდენტებს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს სადაო საკითხებზე.

**საკონტაქტო პირი:**

**პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი დოდო ჯულუხაძე

**ელ.ფოსტა:** [djulukhadze@yahoo.com](mailto:djulukhadze@yahoo.com)